

ჩემი მამული

პაგარაა და კობცა, თან ლამაზი და ნაზია,
ლეღამიწაზე ცნობილი, უძვირფასესი განძია.
ტკბილია, როგორც სიცოცხლე, როგორც მყინვარი შაქარი,
უკვლავებისა ნათელი, გულზე აქვს გაღანაფარი.

გარშემო მთები არგყია, ციცაბო მაღალ-კლდოვანი,
გულზე წალკოტი უგია, მარად ქამს ყვავილოვანი.
იქ ბევრი მოძმე გმირია და გურფა ლამაზმანები,
ცხადათ კაცთ დამაგყვეველნი, სიზმარად დასაზმანები.

ის არის ძველი საღგური გოლიათ ამირანისა,
საპირფარეშო სავანე ზღაპრული ლამაზ დალისა.
ამბობენ, ზამთარ-ზაფხულში სულ თანაბარად დართობსო,
თვით უფალს დაულოცია დასაბამიდან ჰყვარობსო.

პირველად ევა-აღამი იმის წალკოტში შობილა,
ვარდით მორთული აკვანი თვით უფლის ხელით რწობილა.
ნინო ყოფილა ნათლია, პირველი მირონმცხებელი,
ანგელოსი და ფერია თანვე ჰყოლია მხლებელი.

ის სამოთხეა; მგალობელთ, სირთ-ბულბულ-იაღონისა,
გაძარი მაღალ ამრების, სიქველის, ჭკუის, გონისა,
ბაღნარი ია-ვარლების, სირენის, ზამბახებისა.
ლხინის, სიამის, გრფობისა, სიცოცხლის დაბადებისა
და ასპარეზი ჰანგების, დაფის, ნაღარის, ბუკისა.

ჩემი თვისგომნი ბინაღრობს, ყველა მისია მმართველი:
მეგრელ-გურული, კახელი, იმერელი და ქართლელი.
სვანი, თუში და ხეცსური, მესხი, აჭარელ-ფშაველი.
საერთო არის იმათთვის: ცა, ზღვა, ჰაერი, მთა-ველი,
ბელი არ წყალობს წყეული, ბევრი მტერი ჰყავს მზრახველი,
მათ ეწოდებათ ძველთაგან ერთი საერთო სახელი.

ტკბილია, მეგად ტკბილია, როგორც მყინვარი შაქარი,
ასე კოპწია ყვეყანა, აბა მითხარით სად არი?
ზღ ვები და მთები არგყია გარშემო შემომღლული,
მულამ იქითკენ მიფრინავს, ჩემი ოცნების შურღული.

მის მიწა ციურ მანანით არის მთლად გაღანამული,
იქ მინდა მოვკვდე, ვიმარხო, ის არის ჩემი მამული.